ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3673946

ნომერი: AR1553565

თარიღი : 31.10.2017

გაცემის თარიღი : 10.11.2017

გაცნობის თარიღი : 10.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კახაბერ შარვაძე პ/ნ 41001001312
- თბილისი საირმის ქ. N 11 ბ. 18

ორგანიზაცია:
- შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია" კოდი: 404391136

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N5, შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზ“-ის კუთვნილ საკადასტრო საზღვრებში მოქცეული შენობა/ნაგებობების ფასადებზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს და სარეკლამო აბრებისა რეკონსტრუქციას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახოციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (საკადასტრო კოდი N 01.13.03.050.001, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014668322 17/12/2014წ., ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტომასალა, ფოტომონტაჟი,) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N5, შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზ“-ის კუთვნილ საკადასტრო საზღვრებში მოქცეული შენობა/ნაგებობების ფასადებზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს და სარეკლამო აბრებისა რეკონსტრუქციის შესაძლებლობას.

აქვე გაითვალისწინეთ სარეკონსტრუქციო სამუშაოები საჭიროა განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილ იქნას სარეკლამო აბრების კონსტრუქციული მდგრადობა.

ავტოგასამართი სადგურის ფასის მაჩვენებელი კონსტრუქციის ცვლილებაზე სამსახური არ არის წინააღმდეგი, თუმცა ვინაიდან აღნიშნული ობიექტი განთავსებულია საკადასტრო საზღვრის გარეთ, მასზე ნებართვის გაცემა ცდება სამსახურის უფლებამოსილებას, რადგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებულ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განვითარების ნებართვას მარჯვენა სანაპიროზე გასცემს შპს ,,აუთდორ ჯი“, ხოლო მარცხენა სანაპიროზე შპს ,,სმოდ ედვერთაიზინგი“.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.